საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-623

07/05/2021

ქ. თბილისი

სს „დარიალი ენერჯის“ მდ. თერგზე 110 მვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ განთავსებასა და ჰესის მიწისქვეშა შენობაში შესასვლელი ახალი სატრანსპორტო გვირაბის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2021 წლის 26 მარტს სამინისტროს მომართა სს „დარიალი ენერჯის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანება.

2011 წელს სამინისტროს მიერ შპს „დარიალ ენერჯის“ მდ. თერგზე 110 მვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ განთავსებაზე გაიცა №29 (28.11.2011) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად და კომპანიის მომართვის საფუძველზე 2019 წლის 25 ნოემბერს გაიცა „სს „დარიალი ენერჯის“ მდ. თერგზე 110 მვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ განთავსებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-1136 ბრძანება.

2014 წელს სს „დარიალი ენერჯის“ „დარიალი ჰესის“ მიწისქვეშა შენობაში შესასვლელი ახალი სატრანსპორტო გვირაბის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №48 (06.10.2014) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, აღნიშნულ პროექტზეც გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის №2-1138 ბრძანება „სს „დარიალი ენერჯის“ „დარიალი ჰესის“ მიწისქვეშა შენობაში შესასვლელი ახალი სატრანსპორტო გვირაბის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

წარმოდგენილი განაცხადის თანახმად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები ტექნიკურად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი ახორციელებს კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებულ საქმიანობებს, რომლებისთვისაც გაცემულია რამდენიმე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია მომართოს სამინისტროს განცხადებით და მოითხოვოს ამ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების ერთ

გადაწყვეტილებად გაერთიანება. სამინისტრო მარტივი ადმინისტრაციული წესით იღებს გადაწყვეტილებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანების შესახებ.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „სს „დარიალი ენერჯის“ მდ. თერგზე 110 მვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ განთავსებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის №2-1136 და „სს „დარიალი ენერჯის“ „დარიალი ჰესის“ მიწისქვეშა შენობაში შესასვლელი ახალი სატრანსპორტო გვირაბის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის №2-1138 ბრძანებები, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2011 წლის №29 და 2014 წლის №48 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სს „დარიალი ენერჯის“ მდ. თერგზე 110 მვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ განთავსებასა და ჰესის მიწისქვეშა შენობაში შესასვლელი ახალი სატრანსპორტო გვირაბის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანების შესახებ თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე (დასკვნა №29; 28.11.2011; დასკვნა №48; 06.10.2014);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:
   ა)„სს „დარიალი ენერჯის“ მდ. თერგზე 110 მვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ განთავსებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის №2-1136 ბრძანება;
   ბ) „სს „დარიალი ენერჯის“ „დარიალი ჰესის“ მიწისქვეშა შენობაში შესასვლელი ახალი სატრანსპორტო გვირაბის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის №2-1138 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „დარიალი ენერჯის“;

7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „დარიალი ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი